



საოლტიბიო, სამსინირო და სალიბარტურო ნახაბნიანი ბაზმირი ბამოლის ქოველკშირა ღც.

№ 5

ნიანბარი 25 1897 წ.

№ 5

შინაარსი: თეკლე ბატონიშვილი გ. წერეთლისა.—ირაკლი მეფეს წერილები.—სხვა-და-სხვა ამბები.—პოლტავერი ქრონიკა მახაკალისა.—სახლის ძიება, პოემა ჩერქეზთა ცხოვრებიდან, (შედეგი) ვაჟ-შეშველისა.—კვლე სს კონსპონდენტები.—ბეგრული, დეჟი დუტე მეგრულისა.—ბატონი იაკობ გოგებაშვილი და მისი ცუფი „ნაწილი“ გ. წერეთლისა—ჩვენი სახობა.—სახუმარო გასართობი.—ქუთაისს სათავადაზნაურო ბანკის და კრპო განცხადებანი.—

№ I „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დათურიგდა ხელის მომწერლებს.



თეკლე ბატონიშვილი.

ქვემოთ იბეჭდება და რომელსაც ქრონიკონი 1781 უზის, იგი იმდროს უნდა ყოფილიყო არა უმეტეს ექვსი, შვიდი წლისა.

როგორც ჩვეულებათ აქეთ ხანში შესულ ამბებს, ეს უმცროსი შვილი ყველაზე მეტათ ვასათუთებული ჰყავდა ირაკლი მეფეს.


თვით მისმიერ მიწერილი წიგნებიდან ჩანს, რომ თეკლე ბატონიშვილი ძალაან განაზებული ყოფილა მამის აღერსით.

სახელოვანი მამა თურმე, როგორც ვაქს, ისე ზდიდა თავის სატრფო ქალს. თეკლეს ბატონობიდანე უყვარდა ცხენზე ჯდომა და საომარი იარაღი. რეაწლისა ყოფილა, რომ თათვის სროლა უსწავლია.

ერთნელ თურმე მეფის დარბაზში სადილის წინ აივანზე შეგროვებული იყო მეფის ამაღა და ბატონი მეფეც კარგს გუნებაზე ბძანდებოდა. ამ დროს მახლობელ ხეებში ჩიტებმა იწყეს ფრენა და ჭკკიკი.

—აბა, ვინ ესერის გაუზრენილს ჩიტს და ჩამოაღებესო, თქვა ვიღამაც. მეფემ ამ ლაპარაკს ყურით მოჰკრა და ბძანა: მომიტანეთ ჩემი პაწია სუბუქი ყოფილი მია და დამიძახეთ ჩემ თეკლესო. მეფეს მოაზრებენ

თეკლე ბატონიშვილი იყო ირაკლი მეფის სულ უმცროსი შვილი, კნ. მარიაშ დანტანგის ასულის ჯამბაკურთან ორბელიანის დილი ღდა. როდის დიბადა იგი ზედმიწევნით ვერ შევიტყეთ. თუ რომ დაფუჯერებთ ირაკლი მეფის წერილს თავის საყვარელ შვილთან, რომელიც ამის



პაწია თოფი. ამ დროს გამობძანდა ბატონიშვილიც და მზიარულათ მივიდა მამასთან.—აბა, შეილო, იმ ჩიტს თუ ჩამოაგდებ, ამ თოფს გაიუქებო. თეკლემ მოაკიდა თოფს ხელი, მოიმარჯვა მხარზე, ამოიღო ნიშნაში ერთი ჩიტი, რომელაც იქვე მახლობლათ იგდა ხის ტრატზე. გვეარდა ყირიმის თოფი და ჩიტი ჩამოვარდა. თავის აწალამ მზიარული კიყინა დასცა. ირაკლიმ თავის სატრფო-შვილი გულში ჩაიკრა და უთხრა: პაი, პაი თეკლა-ბიჭო, ეს თოფი იჯილდოთ მიუქებიაო. მას აქეთ მამა თავის ქალს თეკლა-ბიჭს ეძახდა. ბატონიშვილს ეს მამის ძვირფასა საჩუქარი სიცილილმადის აღარ მოუშორებია. ის იყო შეწინიერი ცხენოსანი და მასროლი. არაოდეს გაფრენილი ჩიტისთვის თოფი არ დაუქცევია.

თეკლე ბატონიშვილი ხშირათ დებამდებოდა ცხენით და ამალით თავის დედასთან ქეთევან-ბატონიშვილთან მუხრანს. თეკლეს განსაკუთრებით უყვარდა გაზაფხულს მუხრანისკენ გამგზავრება, რაღვან მას უყვარდა მოდიდებულ არაგვში ცხენის შეცურება. რაც უნდა მოდიდებული ყოფილიყო, ის მაინც არ დატრიალებოდა, შევერდებოდა ცხენით აღკაფებულ მდინარეში და გავიდოდა მეორე კიდზე. ის ხშირათ დაწყებოდა მეფეს სანადიროთ და მარდი სოლოით ბეჭეჯულ ვაუციკრებობა ხაწილოვანი მამა.

თეკლე ბატონიშვილი მიეთხოვა თავად ვანტანგ ორბელიანს და მზითვით მეფემ უსიამო მთელი სოლოლაკი, სადაც მეორმოცე წლებში მან დაიდა სასახლე და ცხოვრება მშვიდობიანათ, კალუღიან დაბრუნებული თავისი რძლით და შეილიშვილებით.

1811 წელს, როდესაც აღექსანდებ ბატონიშვილიმა დღისტინის ხალხი აჯანყა და თვით წინამძღვრობდა, რუსეთის მმართველობას დიდი შიში მიეცა იმისი და გამოიწევა მის წინააღმდეგ ქართველი ჯარი. სხვათა შორის თეკლე ბატონიშვილის მეუღლეც, ვანტანგ ორბელიანი, უნდა წასულიყო ცოლის ძმასთან სახებრათ. თეკლე ბატონიშვილს მეტათ უყვარდა თავისი ძმა და ეს აშბიო რომ გვიგო, დიდი წინააღმდეგობა გაუწინა ქმარს, ჩემ ძმებზე იარაღს ნუ იღებო, მაგრამ ქმარს მაინც ვერ მოაშლევინა ომში წასვლა. სამწუხაროთ ვანტანგ ორბელიანი იქიდან აღარ დაბრუნებულა ცოცხალი.

1830 წელს თეკლე ბატონიშვილი გარეული იყო პალიტყურ შეთქმულებაში და, როგორც დიდა ვაუციკრის მექონე პაი, მთავრობამ დროებით გადასახლა კალუღაში. როცა იქიდან დაბრუნდა, დასახლდა მამის ნაშბივთ ადგილზე სოლოლაკზე და იქ ცხოვრება დაეუღროთ.

ერთხელ მე-არმოცე წლებში ქეთევან ორბელიანისა და სხვა მახლობელი ნათესავები შეიკრებენ

სოლოლაკში თეკლე ბატონიშვილთან და მუხლი მოუყარეს: ბატონიშვილო, ერთი თქვენი თოფის სროლა კიდევ გვაუყურებინო. დიდახან არ თანხმდებოდა ბატონიშვილი, მიზეზათ მას აშბობდა, რომ მე სადა შემძლია ახლა თოფის სროლა, ღრმა მოხუცებული ვარო, მაგრამ ბოლოს მაინც დაითანხმეს. მოითხოვა თავის მამის ნაჩუქარი თოფი, ესროლა და კიდევ მარჯვით მოახვედრა ნიშანს.

თეკლე ბატონიშვილი მეტათ გულ-მოწყალე და ღარიბების შემწე იყო. იმის ხარჯზე ბევრ საწყალ ოჯახში იგზავნებოდა ულუფები. ყველანი იმ-ს ხელის შემწერენი იყვენ. მაგრამ ამასთანავე, როცა უსამართლობას შენიშნავდა, ძლიერ ფიცხი და რბიანიც იყო. კაცისის მთავარ-მართველს ერმოლოვს დიდი მორიდება ჰქონდა მისი. ერთხელ ბატონიშვილიმა მისწერა მას გულმოსულათ: „მეფის ასული ვარ და ჩემ ქვეყანაში სამის ობლითა ქობიც არ მაქვს თუ შესაფარია. ჩემი ძმის იულონის თავლა მაინც მომეცითო“. საცა ახლა თ. ქობულოვის სახლებია, იმ ადგილზე იყო მაშინ იულონის თავლა. ერმოლოვმა მაშინვე აუხრული ბატონიშვილს სურვილი. თეკლე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1846 წ. 12 მაისს. მამა მისის, მეფის ირაკლის თათი მას შემდეგ თითქმის აქამდის ინახებოდა ქობულოვიანთ ოჯახში. ახლა კი აღარ ვიციოთ, ვის აქვს. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ თუ ვისმე აქვს ეს თოფი, როგორც ისტორიულს განძს, ისე შეწირავენ „წერა-კითხვის“ საზოგადოების მუზეუმს.

დასასრულ ჩემდა თვით დიდ მადლობას ვუძღვენი ეწინა მარამ ვანტანგის ასულს ჯამბაკურიან ორბელიანს, რომელმაც მოამწოდა ეს მასალა თავის დიდი-დედაზე თეკლე—ბატონიშვილზე.

გ. წერეთელი.

წერილები ირაკლი მეფისა,

გენანა ნინა ქობულოვის მიერ გადმოცემული.

თეკლა-ბიჭვა.



თეკლას. მამისა და დედის სიხარულს. მალონი და წყალობა. და მშვიდობა. ღვთისა მიერ, და ღვთის მშობელს ამიერ. და დიდას. მოწამისა ეგვტათი. საკვირველ მოქმედისაგან. სამარადისოდ. განმარადელდს. მის ზედა. თეკლინა. ჩემო შენი. სიბრძნით. საყენ. წიგნი. მოამივიდა. რო-

მლისგანაც. შენ ხომ იცი, და გონიერი. ქალიცა. ხარ. როგორ. მიაშვებოდა. და მამამებდა. მარამ. უცნაოს. ოსტატობით. და მდივნობით იყო. შენი. გარჯილობა უფრო რომ არაბულს ხელს გემგზავსე-ბინა. მეტის. სიღრმისაგან, ვერ აღმოვიკითხეთ. და ვერც არა შევიტყუეთ. ახლა. პირს. კოცნა. მომიხსენებია. ჩემ მაგიერად. ღელა შენმა. გაკოცოს. ექვსი. კარგი ბოროტული. გამოიგზავნა. ხვალ. ღვთით. კიდემ. ბეგრს. შაქრის ყინულს. და ნულლს. და შაქარს. გამოგზავნენ. და ღვთის. ნებაცა. იქნება. ჩვენც წამოვიდეს. დეკემბრის. (ქო) ქკს. უფო.

ქვემოთ უზის ექვს ბეჭედ ირაკლი მეფისა. ერთი ბეჭედი ყველაზე უდიდესია, მხედრული ასოებით ამოჭრილი. გარშემო ასე აწერია: „ღვთით მუნ შობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ქნარს მიცემს“.

შუაგულ მხედრული ასოებით ხელჩართულია დაწერილია „აერკვლე“.

I

მეორე ბეჭედზე მხედრულათვე გარშემო აწერია: „აერკვლეს ვადიდებ მეფეს...“ (წაშლილი).

შუაგულ ხელჩართული ხუცური აწერია: „აერკვლე“.

მესამე ბეჭედზე მხედრულათვე აწერია:

„ქ. იესო სული შენი მომბერე კლებულს“.

შუაგულ მხედრული ხელჩართული ასოებით აწერია: „აერკვლე“.

მეოთხე ბეჭედზე გარშემო ოთხ ენაზე—ლათინურათ, ბერძნულათ, სომხურათ და თათრულათ აწერია სიტყვა: „აერკვლე“.

შუაგულ კი ხუცური ხელჩართულით: „აერკვლე“.

მეხუთე პაწია ბეჭედი, რომელზედაც მხედრული ხელჩართულით წაითხება: „აერკვლე“.

მეექვსე პაწია ბეჭედზე მხოლოდ თათრულათ აწერია: „აერკვლე“.

II

ქ. ჩემო. შინაგან. გულის. ნათელ. თეკლავე. შენს. ღამაზ. პირს. კოცნას. მოგახსენებ. შენი. ბრძნულებ. ვაწყობილი. წიგნი. მომივიდა. მამა. შენ-მა გახდამ. და დიდათა. დაგიმადლო. არაბული კი. ექვსაზ. დაგვიწყებია. წერა. და ახლა. ქართულს. წერას. მოჰყალიბებ. მარამ. კინაღარ. ის უფრო. აღ-მოიცნობოდა. თუ ჩემი. თეკლა ხარ.

ღელა. და მძებნი. დებიც. და რომლებიც. და ძისწულებიც. ყველანი. ვინც. შენნი. იყვენ. მომი-კითხე. და კიდევ აკოცე. ჩემ მაგიერ. ყველას. და ამხანათ. ვერა გამოგზავნენ რა. ნუ დამემღერები. შენნი. დისწულებიც. ყველა. დამიკოცნე. ღელა. შენს. მოახსენე. ვალენის. სექმეზე. ბეჭეთად. მძანდრო-ღეს. სეკნდებრის (ა) ქკს. უოგ.

ქ. ბატონი. ღელაფალიც. მომიკითხე. ქ. ბი-ძია. შენი. და მამიდა შენიც. ორივე მომიკითხე. და ნახვის. ნატრა. მოახსენე. მარან. და ხეარამზეც.

სხვა-და-სხვა ამბავი:



ანაგრძნობით ვეგებებით ვაზ. „კავკასის“ მი-მართულვას საზოგადოთ. იმას მართლათ წმინდის გულით უქისრია მომხრეობა კავკასი-ის აქეთა მხრის მცხოვრებთა საკეთილ-ღღვით, განურ-ჩეგლათ ეროვნებისა.

სხვათა შორის მან მიაქცია ამ ბოლოს დროს თავისი ყურადღება მომავალ ქალაქის არჩევანებს და ამბობს, რომ სამართლიანობა მოითხოვს, არჩევნები მოხდეს ერთ ალავს კი არა, სხვა-და-სხვა ქალაქის კუთხეებში ცალკ-ცალკე, მაგალითათ ავლაბარში, კუკიაში, ვერაზე, სოლოლაკზე და შუაგულ ქალაქ-შიო. მართლაც ასე რომ ყოფილიყო ამორჩევა, მა-შინ უფრო სამართლიანათ იქნებოდა ქალაქის მმარ-თელობის კრება შედგენილი, რადან ყოველ კუთხეს ქალაქისას თავისი წარმომადგენლები ყოვლგო-და ქალაქში. ეს კიდევ იმითაც კარგია, რომ ერთათ მომხდარ საარჩევანო კრებაზე ძალიან შეძლებულია მო-ქალაქეების გავლენა დიდად ხოლმე და არჩევანები ყო-ველთვის მართა იმთ სასარგებლოთ მახდება ხოლო-მე. ასეთი გარემოება თვალსაჩინოთ დამტკიცდა წარ-სულს ამორჩევაში, რომელზედაც ქართული ხმოს-ნები აღარ ყოფილან ამორჩეულნი, ხოლო რუსები-სა და სხვა ეროვნების ხმოსნებიც ძლიერ ცოტა.

\* \*

ხუთშაბათს, 23 იანვარს იყო თავად მწახურთა საგანგებო კრება ოძისის მამულის შექმნის გამო. ბეგრ ღამაზაკს შემდეგ შედგა კამისა, რომელმაც ამის შესახებ უნდა შედგინოს მოხსენება და წაუ-კითხოს მორიგ კრებას, რომელიც მოხდება მაისში. ჩვენის აზრით თ. ზ. გ. ერისთავის საჩუქარი ძირული შევიწროებულ მდგომარებაში აყენებს თავად-მწახ-ურობას, რადგან ამას ახლავდა არა აქვს საშუალებ

მწყებელის პირობა შესრულოს. ასე მიიწე ინებოს თ. ზ. გ. ერისთავმა, რომ ანუქას თავისი მამული „ოძისი“ თავდაზნაურობას და დაელოს მას, რომ ამ მამულის შემოსავალი ინახებოდეს იმ დრომდის, სანამ თავად აზნაურობას ექნება ღონისძიება სამეურნეო სკოლის გახსნისთვის ოძისში.

\*\*\*

24 იანვარს შესრულდა 25 წელიწადი, რაც არსებობს თბილისის „კომერციული ბანკი“. სასწრაფოთ ამ დღისა შემოსხნებული ბანკის რჩევას გადუწყევტია 16,500 მან. დაარეგოს საქველ-მოქმედო მიზნით. გადმხვეწილ სომხების სასარგებლოთ 5000 მან., თბილისის საქველ-მოქმედო საზოგადოებას 2000 მან., ბავშვების თავშესაფარს „ქაქაბაძე“ 1000 მ., ბრძათა სკოლას 1000 მან., თავშესაფარ საზოგადოებას 500 მან., ყმაწვილების თავშესაფარს (ალექსანდროვისას) 500 მან., სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებას 500 მან., წყალში ჩაფარნილების გადამრჩენელ საზოგადოებას 500 მან., სოლოლაკის იაფ-ფასიან სასადილოს 500 მან., „ნაღდის“ თავ-შესაფარს 500 მან., დამაზავეთა ყმაწვილებისთვის გამართულ სკოლას 500 მან. და 4000 მ. მოსამსახურეთათვის საპენსიო კასნაში ბანკის წინამძღოლებს. ძალიან ბრძნულათ გაუწაწვილებითა თეიანთი მოწყალებმა! მხოლოთ გულს გეკლია, რომ „წერა-კითხვის“ საზოგადოებას იმათვან არა ხედა-რა.

\*\*\*

სათავად-აზნაურო მამულის—ქარესლის—მოსავლეთათ ამორჩეულ კომისიამ წარმოადგინა ორი წლის შემოსავალი-გასათელი ამ მამულით: ამ ანგარიშიდან ჩანს, რომ 1896 წელს ქარესლის შემოსავალი ყოფილა 57,168 მ. და 30 კ. ხარჯი კი სულ (აქ უნდა იგულისხმეთ ბანკის გადასახადი) 54,097 მ. და 88 კ. 1896 წ. შემოსავალი ჰქონია 68,359 მ. 81 კ. 1895 წ. გადარჩენილი ფული 3060 მან. რომ მიემატოს სრული შემოსავალი იქნება 71,200 მ. და აზნაურო კი 63,704 მ. ისე რომ პირველ იანვარს 1897 წ. დაჩრენილა 7,716 მ. („ივერია“).

ამ ანგარიშიდან ცხადათ ჩანს, რომ მას აქეთ რაც სათავად-აზნაურო კომისიას გადაეცა თავდაზნაურობის სახლის გამგეობა ორი წლის განმავლობაში შემოსავალმა თვალსაჩინოთ იმატა. ამისთვის სათავად-აზნაურო კომისია დიდი მადლობის ღირსია სინდისიანი გამგეობისთვის. კარგი იქნებოდა გამორკვეულიყო, რათ არის ამ ორი წლის განმავლო-

ბაში გაცილებით მეტი შემოსავალი, ვარე წინადღელ წლებში.

\*\*\*

დანიშნულ იქმნა ქართული ენის ცენზორის თანამდებობის აღმასრულებლოთ გიორგი ღურმიშაძის ძე ყურული.

\*\*\*

მთავარ-მართველის თანამშემე გრაფი ტატუშვიცი დანიშნულ იქმნა სამხედრო კომისიის წევრათ, ხოლო არმიის ქვეთ ჯარში მოსამსახურეთ ისევე დარჩება.

\*\*\*

მსოფლიო პატრიარქმა კოსტანტინოპოლში პატრიარქობას თეი დაუნება.

\*\*\*

ქალაქის სამეურნალოს ზედამხედველოთ ამორჩეულ იქმნა სამა წლის ეადით გ. ნ. სტუფანოვი.

\*\*\*

ბათუმის პოლიციეისტრის თანამდებობის ასსრულებელი მ. მ. გეორგი დაამკიცეს პოლიციეისტრათ.

\*\*\*

პეტერბურგიდან იწერებიან, რომ იქ სახელმწიფო ქონებათა და სამეურნეო საინისტრაში უკვე შეუდგენიათ პროექტი, რომ საჩქაროთ დასახლონ შავიზღვის პირის გუბერნია და შემოილონ იქ მოსაყენი სხვა და სხვა სასარგებლო მცენარეები.

\*\*\*

ჩვენ მოგვიცდა ახალი წიგნები:

- 1) Значение Греховъ въ умственномъ развитіи русскаго общества и вліяніе монгольскаго ига на Россію.
- 2) Краткій Очеркъ Исторіи греческой философіи.
- 3) უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა.

ეს სამივე წიგნები მ. ი. სალარაძის მიერ არიან შედგენილნი და იყიდებიან თფილისში ხიდკელთან, გრიჭუროვის მაღაზიაში, ბეგიჩევის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიკთ-საცემში.

ლექსები, თავ. ქ. ბ. გელოვანისა, გამოცემული ავტორის მიერ, იყიდება საშუალოთ.



### პოლიტიკური ქრანთა.



ინგლისის პირველი მინისტრის სოლისბურის მოხსენებიდან ფრად შესანიშნავი ამბები აღმოჩნდა აღმოსავლეთის საქმეების შესახებ. მან წარმოუდგინა ინგლისის დეპუტატთა პალატას ევროპის სახელმწიფოებთან მიწერილ-მოწერილ წარსული წლასა ოსმალეთის შესახებ. ამ მიწერილ-მოწერილ-დან ცხადათ ჩანს, რომ ევროპის სახელმწიფოებს შორის სრული თანხმობა არ ყოფილა, რომ ერთბაშით ემოქმედნათ ხვანთქარზე და ამ ვარემოებას ძალიან დაუბრკოლებია ქრისტიანების მდგომარეობის გაუმჯობესობა, რქიდანვე ცხადათ ჩანს, რომ ინგლისის ოსმალეთის მთავრობის მფარველობაზე ხელი აუღია, დაჩარული ქრისტიანების მხარე დაუჭერია და განცხადებას განცხადებაზე გზავნიდა სხვა სახელმწიფოებთან, რომ ოსმალეთისათვის ძალა დაეტანებოთ ან დროის შესაფერის ცვლილება მოეხდინა ქრისტიანების ბედ-ილბლის გაუმჯობესობისათვის, ან თვით ახლანდელი ოსმალეთის სახელმწიფო ევროპის შეერთებული ძალის ხმარებით უნდა დამზობილიყო. ამ განზრახვით ჯერ ის 23 სექტემბერს შეკითხვია ავსტრიულ-უნგრეთის მთავრობას და შემდეგ 20 ოკტომბერს ყველა ევროპის სახელმწიფოებისთვის გაუგზავნია სათათათ წინადადება, რომ მიენდოს კონსტანტინოპოლში მყოფ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს, შეადგინათ პროექტი ოსმალეთის სახელმწიფო წყობილების ძირიანათ შეცვლისა, ხოლო უკეთეს ოსმალეთი ამ ცვლილებაზე უარს განაცხადებდა, იმ შემთხვევაში ძალა უნდა დაეტანებოთ მისთვის.


გერმანიის მთავრობას პასუხათ მიუწერია, რომ მე ჩემდა თავათ ვერაფერს ვეკისრებო და, რაც სხვა სახელმწიფოები გადაწყვეტენ, მეც იმაზე დადგებოა, რუსეთის უცხო ქვეყნის სამინისტროსაც უპასუხებია: ჩვენ იმ შემთხვევაში მივაქცევთ უარადლებასა ინგლისის წინადადებას, უკეთეს ყველა ევროპის სახელმწიფოები დათანხმდებიან ინგლისის პროექტზეო.

ფრანკლზის ელჩმა დეკურსელმა განუცხადა ლარდ სოლისბურის, რომ ჩვენ უკვე მივანდგეთო ჩვენს კონსტანტინოპოლის ელჩს კამბანს, რომ მან იმოქმედოსო ყველა სახელმწიფოების ელჩებთან თანხმობით და უკეთეს ყველანი დათანხმდებიან, ცვლილების პროექტში შევიტანთ სამს მუხსოა: 1) ოსმალეთის სახელმწიფო ხელშეუხებლათ უნდა დარჩესო, 2) ჩვენ თვით პირადათ ვერას ემოქმედებთ და 3) საერთო მფლობელობასაც ვერ ვეკისრებთო. რაიცა შეეხება ძალდატანებას, ეს კითხვა შეიძლება, ასე თუ ისე, მაშინ დაბოლოდეს, თუ ყველა სახელმწიფო-

ების წარმომადგენელი ერთბაშით გადაწყვეტენ, რომ საკეროა ძალმოპროება წინმართოა.

ამ ამბებიდან ცხადათ ჩანს, რომ ევროპას სახელმწიფოები აღმოსავლეთის საქმეს ატყველებენ იმ დრომდის, სანამ თითოეული მათგანი კარგათ არ გამოეწყობა ყოველ მიულოდნელ შემთხვევათთვის. მაშასადამე უნდა ვეფიქროთ, რომ აღრე, თუ გვიან, აღმოსავლეთის საქმე უომრათ არ დაბოლოდებია, მხოლოთ საკითხავი ის არის, როდის იქნება, რომ საოცარა ქარიშხალი ატყდეს. ეს იმაზე დაბოკიდებული, ვინ უფრო აღრე მოეგზავდება ომისთვის და ვის უფრო ხელს მისცემს ეს საქმე აღრე გააშფოვოს.

მასკვლა.



### ს ი ს ხ ლ ი ს ძ ი ე ბ ა .

(ამაჰია ჩერქეზთა ცხოვრებაიან \*)

### XII.



ავი მივიდა ქიჩორთან ერთხელ მაკლურათ მცინარი, თაული და შაქარი არის მის პირით ამოდინარი.

ქალარ-შერთული მამადა გათქმული არის გონებით, არც უსახლოთ შთენილა ცხვრითა, ძროხით და ქონებით.

აქება აღიდებს ქიჩორსა ხატებთან შენაწონებით, ჰპობს გულ-ჩათხრობილ რაინდასა გულ-უხვათ საღბო ქონებით.

მიჰპართა მის გულ-გონებას სხვა-და-სხვა რიგის ფონებით. სულ ბოლოს იგი უამბობს ჭკვიანათ გონებ-გონებით:

— მართალი არი, ქიჩირო, ვერ ვინ ვაშინებს ძალითა, ვერვინ დავიძრა წამწამი შემოქმეული ხმალითა.

მაგრამ არც კი დღეში ხარ მუდამ საფრთხეში ყოფნითა.

\*) ის. „გვლ“ № 4.

მუდამ ხმალ ამოღებულა  
ფეხზე შემდგარი თოფითა.  
თაის შინ ქურდულათ დახვალ  
ქურდულათ პურის მკამელი.  
საცა გაიელი, მტრებითა  
საესე გგონია მთა-ველი.  
მშვიდობის მიწა არა გაქვს  
ცოცხალ კაცს ორი მტკაველი.  
—სხვისა მონებას, მამაღო,  
ეგრე მირჩენის ტარება.  
არას მაშინებს სიცოცხლის  
სიკვლილათ გადაცვალება.  
ერთი დღე ყველას მოგველის,  
დღე იყოს, მზეცა ბრწყინავდეს,  
ჩვენ არაფერი გვესმოდეს  
ციეს სამარეში გვეყინავდეს.  
ნეტავი იმას, ვინაცა  
მკედარი გასწირავს სახელსა.  
და ყველა იმსს ხსოვნასა  
გულს ინთებ, როგორც სანთელსა.  
ცოცხალი ცოცხალს ეგავდ  
თავის გუნების ბატონათ.  
მოკვდებდი, ერთი დღე მმართვეს,  
მიწა მექნება ბატონათ.  
—ვინა თქვა მონათ იქნები,  
გაჰხდები პირველ კაცათა.  
რაც რომ ასლანი ფიცილობს,  
ღმერთი აქცია ხატათა.  
ორს ეაქსე ხელი დაადვა:  
„ღმერთს შეგავედრებ ამათა,  
თუ მე რამ ვაწერო ქიჩირასა,  
ოღონდ მოვიდეს ზავითა.  
თუ კიდევ არ დავსაუტრო  
საჩუქრით მრავალ-გვართა“.  
მერე ამ დროსა ხმა დადის,  
რომ გავემტვეროს, აგვიკლოს,  
მოზღვევებულა უჩიციხეი,  
გამოჩენილა ხვარვიკოსი.  
ჩერქეზეთს ახლა სჭირია,  
ვისაც გული აქვს გმირული.  
თავზედა ქუდი ჰხურია,  
წელზე ჰრტყავ ხმალი მისრული.  
გასწიროს მკეცრ სისხლიანი,

მტერი კარებზე მისული.  
რად უღირს, იცი ასლანსა,  
რომ მიუხედივ ზავითა; —  
ჩერქეზთ ლაშქარში ვირო  
თაეს ხმლითა და ფართა.  
—რაც უნდა ის ქმნას, მე მოვალ.  
ქმნას თავის გულის ნებისა,  
არც ვისგან საჩუქარს ველი,  
არც მდომელი ვარ შეგებისა  
დამძახით ნურგინ დამძრახავს,  
სმენავ არ მიყვარს ქებისა.  
დაღ, წამოვალ, თუნდა თქვან:  
ქაირი რასა შერებისა?  
მე კო ჩვენს ჩერქეზთ რჯულზედა  
სახლში მიუვალ ძმურათა,  
თუ არ დაირცხენას თითონა  
დაე, მომექცეს მტრულათა.  
არც ეს მექნება სანაღვლოთ,  
არც თავი დაკარგულათა.  
საღმრთო წესს როგორ დაარღვევს,  
ისევ გაფუჭდა სრულათა!  
—სულ ტყუილია ღალატი,  
ტყუილათ ჰფიქრობ, ძმობამა,  
რა სიხარული აჩვენა,  
აქამდის შენმა მტრობამა.  
ემ ჩემს ქალარას დაწმე,  
შენმა და ჩემმა ცნობამა!  
არ შეუცვალა მას ფერი  
ტყუილის გამოცნობამა.  
—კარგია, კარგი მოხუცო,  
სიტყვას რათ ჰხარჯავ მრავლსა.  
თითონაც კარგათ გავიგებ  
თავის თვე გადასავალსა.  
ხვალ ღამ, ან ხვალე გ ზ დილით  
შინ ვეახლები მთავრასა.  
ბევრს რათ ჰფიცულობს მის ნახვა  
მართლა ეგრეცა მზარავსა?  
—როს დაგინახავს თვის კარზე  
გაუხარდება იცოდევ.  
მი ვაო, ეტყვი... მშვიდობით!  
დროა, რომ გზაზე ეილოდე.  
—მშვიდობით, წადი... კარგია,  
ცოცხალს რომ არა ჰფლიდობდე.

რა გაისტუმრა მამადა,  
 თქვა ეს ქიჩირმა ჩუმათა,  
 რაც ლომის ღმინი იქნება  
 ილიმებოდა უმათა.  
 გულის დაეკითხა ათასჯერ,  
 ფიქრსა ჰშლიდა და აგებდა.  
 ბოლოს იფიქრა წავიდეს,  
 თუკი ქვეყანას არგებდა.  
 თვალთ წინ დაუდგენ მოძმენი,  
 ომი თუცხე ღი მტერთანა,  
 აოხრებული ქვეყანა,  
 გასწორებული მტერთანა.

## XIII.

— რისათვის იყო სულელი,  
 რაზე „საუბრით გირთაედა?  
 მამადას წასვლის შემდგომა  
 დედა ქიჩირსა ჰკითხავდა.

— ასლანი ზავსა თხოულობს,  
 უნდა ვეწვიო, დედილო.

— რას ამბობ?! როგორ ენდობი  
 გონება გამოშრეტილო.

ბაღლი ხარ ახლაც მოტყუედე  
 რომ მგელს ეძლევი პირშია.

ვინ მისცემს, სად გავიწილა  
 ბიჭო, ბედაურს ეირშია?!

ზაფისა იმან რა იცის  
 გველ-ბაყაყების ბუღმეა.

ჩერქეზთა ქვეყნის გამცემმა  
 და ჯოჯოხეთის ზღუდემა.

რაკი წახვალ და არ იშლი,  
 რჩევას არ მისმენ მითაცა,

მაგ სიბრიყვესთან ბარემა  
 მოდი და ჰქმენი ისაცა,

ჯერ კი მე მომკალ და მერე,  
 იარე, როგორც გვენბოს.

უშენოთ შენსა მშობელსა  
 ცოცხალს ნუმც ნახვენ ტურელოს.

— რაც ციხე აქამდის ვაკე,  
 ახლა დეშალო, კარგია?

სხვას ყველას ეპოვებთ, სახელს ვერ,  
 თუ ერთხელ დაგეკარგია.

ღიამც სიცოცხლე დაგეკარგო

ის ჩემთვის მეტი ბარგია.

არამი არი ჩემზედა,

მინც არაში მარგია.

მტერი რომ მოდის, მაშ რა ექნა,

შინ დავიმალო კარგია?

რას ეგვანება ქიჩირი,

რომ არ ერიოს ჯარშია?

სხვა რაც უნდა თქვი, მაგრამა

ეს რომ არ მოდის ჭკეაშია?

სიკვდილი ბევრათ ჯობია

ჩავარდნას ქვეყნის ყბაშია.

რა სიცოცხლეა, რომა თქვან

ჩემი ლაჩრობა მთაშია.

ღიაცებრ მანდილიანი

დედაე, გინდიეარ რაშია?

## XIV.

ის იყო, ასლანის ეზოს

დილის შშის სხივი ჰვენოდა,

ცხენზე მჯდომარე ეაქაკო

ეზოში ეინმე ჰშვენოდა.

დამშვიდებული სახითა,

თითქოს არც როს რაე წყენოდა;

უხმობდა მეგობრული ხმით,

ასლანის გასვლას ელოდა.

ოარი მსახური სტუმარსა

გამოეგება ხმინათ.

ცხენს ართმენ, მიესალამენ

ოარიე თავაზინათ.

შინისკენ მიიპატიეცს

აუჩქარებლათ, ჭკეინათ.

იმათში არაფერს ჰხედავს

ქიჩირი დამაზინათ.

მაგრამ იქით და აქედან

გაღმობტენ აბჯრინებო;

ზოგნი თოფ-შამოყენებოთ

სხვანი ხელ-ხანჯლიანებო.

ხმა როდი ვასცა ქიჩირმა,


სდუმს, ვით ქვა, ვითა ლოღია.

არც წყველა უთქვამს, არც ლოცვა,

მან არ ატება შფოთია;

თუმც გულში მყერდი უქნავს,

ბოღმა ნასყამი, ლოთია,



შვიტერგენის კლდეები.

დასავლეთი მხარე იმ მდინარის  
 ნაპირსა დასავლეთი მხარე  
 დასავლეთი მხარე

დასავლეთი მხარე იმ მდინარის  
 ნაპირსა დასავლეთი მხარე  
 დასავლეთი მხარე



სტაცეს ხელი და შებოჭეს,  
ქიხირი ჭეხავს მღუმარებს.

ხელსაც არა ძრავს სამტროთა  
არც იღბენს, არცა მწუხარებს.

უყურებს, ლობეს იქითა  
ქალი ეინმე ჰღერის მღუმლარეს.

ბოლოს გამოჩნდა ასლანიც?

„ზე ლრუმელსა ჰვავს მქუხარეს:

„მეგლო! გავაბი ხაფანგში

არ დასვენებ კბოლებსა?

რომ ჰვეხდო, ასლანისასა

სულ გავწყვეტ შეილი-შეილებსა,

ჩემს ჯილაგს ემტერებოდო

ამოღებრას ფესვიანათა.

ვერ ამოგფხვიერი? იგემე;

მიკანი წყვიანათა!

სხვა ყველა დევიმორჩილო,

როგორც ცამ მებიანათა.

შენ არ მიხრიდი მხოლოთ ქედს

მოგექცე ხერხიანათა?!

ავართებ, ავასრიალებ

ცამდე თავ-ფეხიანათა!“

მხოლოთ ეს უთხრა ქიხირმა:

—ერთს გებეწვები დიდათა.

ნუ გაავონებ ქვეყანას,

თავს ნუ აჩვენებ ფლიდათა.

ნუ გაავონებ ჩერქებთა,

რომ მომატყუე ზავითა,

ნუ წაპრევი მოძმეთ ბუნებას

შამ-საწამლავეთ ავითა.

ეს ჩვეულება მტკაცეთ გვაქვს:

წმინდათ შენაჯე კერისა.

პირობის დურღველობა,

ძმათ შ ნ შენ ხეა მტერისა.

ეგ რომ წე ათ გვაქვს ისა-ღა

სიხლით დაბა-ა სისხლისა;

მლობისთვის მტრობა უზომო,

წესია ჩვენი მარსა.

რა ცოლა არის, რა მადლო

ასლანმა უყეთ იცის!

ჭკბ ფშაქელა.

(შემდეგ იქნება).

„ეკალის“ კორესპონდენციები.



თავ. ჯღვანი (თიონეთის მარა.) შობის დღე-სასწაულების წინ უფათ გარდაიცვალა თუ-შის იგან ბართიშვილის ქერიე, ჯერ ისეც ცხოვრებით აღსაყვადიანი... ხალხში ამ შემთხვევის შესახებ გავრცელებულია შემდეგი ამბავი, რომელიც, როგორც ლურისმანი ხემი, ისე მკვიდროთ ჩაქედია ყველას გონებაში. ამისთანა ამბავი ჯერ არ მომხდარა თუშეთში... ერთ დილას ბართიშვილის ქერიე იჯდა ბუზრის წინ და ცეცხლის ნაპერწკლებს თვალს ადევნებდა; ნაპერწკლებს მისი გონება ზეცსკენ მიჰქონდა... უბედურს, ალბათ, თავისი შარშან მოკლეული ქმარი აკონდებოდა... ამ იკნების დროს, განსვენებულს მიაწოდეს არაყი; დლია თუ არა, მაშინვე წამოიძახა: „ვიღებ, ეს რა მომის! გვედები, ეკვებო!“... და გარდაიცვალა. იმვე დილას მთელ ალენას მოედგა ხმა, რომ ეს-და-ეს ქერიე დაწმინდით მოწამლესო (მშახლეს). ყველას გაუტყირდა ეს ამბავი. აწ განსვენებულ ბართიშვილის ქერიე იყო ჯანმრთელი, მეგჯავბ და ყველასაგან პატივანაცემი ადამიანი. სოფლის მღვდელი არა მარხავდა ბართიშვილის ქერიეს, მაგრამ როდესაც ერთმა იქ მყოფმა დაარწმუნა ღვდელი, რომ ბართიშვილის ქერიე ბუნებითი სიკვდილით გარდაიცვალა, მაშინ ღვდელმა დასაფლავებამანდილოსანი. თუმცა სოფლის მოხელე პირთაც ჰქონდათ გავონილი ეს საქმე, მაგრამ რილსთვისაც ყურები ბამბით ამოიკვედეს. ამათი ეალი იყო—სხვათა შორის, რომ ამ შემთხვევის შესახებ შეეუბრაბინებინათ სამაზრო პოლიციისათვისაც. მაშ, რამ დააშინა და დაჩუმა ხალხი? ეს შეტათ სანიტერესო კითხვაა, მაგრამ ჩვენ ამ ეამათ ვერმდებით... დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამბავმა სამაზრო პოლიციამანდის არ მიახწია, თორემ ეს საქმე ასე ყრუთ არ ჩაიცილიდა. იმედი გვაქვს, რომ პოლიცია ჟროჯან ყუდადღესას მიაქცევს ამ მოულოდნელ სიკვდილს, მით უფრო ამ ჟრო დრო არ წასუდა.

ამ შემთხვევით ესარგებლობით და ეაუწყებთ ეს სოც ჯერ არს შემდეგს: თუშეთში მეტათ გავრცელებულია დარიშხანა. ეს, როგორც ყველამ ვიცით, ძლიერი შხამა და იუიღება სახელმწიფო კონტროლ ქვეშ ეინც ასე თავისუფლათ ჰყიდის და ეინც ყილღობს სასტიკი კანონით ისედაც. მიუხედავათ ამისა, თუშეთი ხალაც ახვილათ მოულოდნენ ამ საწამლეს. დარიშხნით სწამლავენ იმისთანა ნადირს, რომლის ტყავი ეაქრობაში კარგათ საღდება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ წამალს წარამართ ხმარობენ,

რის გამო ბევრი ძალი იღუპება; ძალი, რომელიც დიდ საქორეობას წარმოადგენს თუშის სხოერებაში. ხან განგებ ხოცავენ ხოლც ძალიებს. წარსულ წელს შემოდრომაზე ჯერ ძალი მოწამლეს; შემდეგ სკეზიდან ამოიღეს თაფლი; ფუტკარი დარჩა უსახრდო და, რასაკერეელოა, სრულებით ამოწყდა... ამისთანა მკადლით არა - ერთია სოუ. აღეწაშა... დარიშხანა ვადიტანეს შირაქში; სადაც ბლომათ მოიპოვება სატაეე ნადირი; მაგრამ ძალიები აქ უფრო შრადეალოა. შირაქში დარიშხნით ნადრობს ეილაცა რი თუშა. რასაკერეელოა, სამზრო პოლიცას დარიშხნის აშვეი არ ვაუგია აქამდის, თორემ შედარიშხნების კანონის ძალით მოეპყრობოდა. ამითი პოევა აღელოც არის: ყველა თუში მიგიითითებ მათზე...

იმეი ვეაქეს, რომ ესაც ექვემდებარება ეს საქმე, ჯეროენ ურადლებას შიქცეს...

სხვა ვახუთებსაც ვთხოვთ, რომ ვადებქლონ ეს წერილი.



სოფ. მაკანეთში (გურია) სხოერებს ერთი საცოადეი ქუთიდან შეშლილი ქალი, გლხი ყრამან ქათამძის ცოლი, რომლის ნახვა სწორეთ, რომ საზარელი სურათს წარმოადგენს. 28 ქრისტობობის თვეს წაყლით რამდენიმე კაცი იმ საცოადეის სანახეთა, შეველით პატარა ფაცხაში, კუთხეში იდგა ტახტი და ზედ შრადელო კანკებ ძინძები ფყარა. ტახტს ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა ქვები. დეეკითხე ჩემს ამხანაგებს: სად არის აქ ქალი-მეტიქი? - ერთმა იმათგანმა ტახტს იქით ვასწია და ქვეშიდან ვამოყრა თავი ახალგაზდა ქალმა, ჯერ ყველას დალოცვა დაგვიწყო, მერე კოლა შესცვალა და გიჟური წომოურიც; ხან ეშმაკრა ეშინოდა, ხან ქმარს წყევლიდა: იმან დამანება თავი თეარა რა მქონდა ვადასარეეოა... ყველა ვაგივებმა იმ მდგომარეობაში, როგორშიაც ის უბედური იმყოფება. ათ დღეს რამ არაფერი აქამონ, არაფერს იზნენეს. ათასში ერთხელ მეზობლები მიაწოდებენ თურმე საქმელს, ისიც იშვიოთ, რადან დღე ვერაინ ხედაეს. მთელ დღეს თურმე დამაშლილი და, როდესაც ყველა დაიძინებს, შუაღამისას ვამოდის გარეთ და მოპყება სიმღერას. ასე საცოდავით არის მიტოვებული მშობრ მწყურვალი, უცეცხლოთ ამ სიცივეში. მიეპყეეთ ესიც ჯერ არს, იმათ ყურადლებას.

o. მაკანეთელი



სოფ. მაკანეთში. რ თუხე მეტია, რაც ქ. ნოვოროსისკში მცხოვრებ ქართველებსაგან შეგდა

კომიტეტი ქართველების შავი ზღვის პირათ ვადასახლების დასახმარბოათ. ამ მოკლე დროში არც მეკადინეობა და არც ვნერგია არ დაეცილია, რომ ეს კეთილი აზრი და საქმე, როგორმე თვალსაჩინო გამხდარიყო, მაგრამ როგორც ვატყობთ, თუ ჩვენმა საზოგადეებამ ნიეთიერი და ზნეობრივი დახმარება არ აღმოაწინა მას, ის მართო ოცენათ დარიჩნა. ამდენი ხანი ვადის ჩვენი საზოგადეების თანავარძობას ვერ ვხედავთ და ჩვენც ამ ქამათ, ცოტა არ იყო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდით. წარმოიდგინეთ, რა თანხა უნდა შევაროვოს ამ ერთმა მუკა ხალხმა გურული მუშებისამ, რომლებსაც ცოლ-შვილი მიუტოვებიათ და ვადმოხვეწილან ამ შორეულ ქვეყანაში რი გრომის საშინელოთ, თუმცა ამათი მდღარი ვული, მუდამ მზათ არის უკანასკნელი პურის ფულიც კი ვამოილოს ამ კეთილი საქმისთვის. ამიტომ მოვმართეთ ქართველ საზოგადეებს თხოვნით, რომ შეძლების და ვერათ შემწეობა აღმოაჩინოთ ნოვოროსისკში დაარსებულ კომიტეტს, ქართველების შავი ზღვის პირათ ვადასახლების დასახმარებათ... უარების მადლობას ვუცხადებთ ბ. ე. მასხულოს, რომელმაც კეთილი-ინება და შევეგროვა ამ საქმისთვის 10 მან. ფული და ხაშურში, - აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია ბ. სილ. კალანდძის „არტელი“, რომელმაც შემოწირა ერთი თუმანი, - სულ შეგდა 95 მან.

კომიტეტის წევრები: ს. ს. კალანაძე, დე. ჩხიკავაძე და იოსებ ზახტაძე.

ადრესი: Новороссійск, Русс. об. порох. и торг. г. Сиговану Каландадзе.

ვარლ. კალანაძე.



ქ. ქუთაისი. ამ ქამათ აქ ყველა, დიდი თუ პატარა იმას ჩივის, რომ წელს ჩვენში საშინელი ქესატობა და უფულოობა ჩამოარდაო. ამის მიზეზათ ასახლებენ ერთი მხრით სიმინდის მოუსავლობას, რომელიც დღეს იმერეთში სხოერების უმთავრეს წყაროთ ითვლება, და მერე მხრით იმ გარემოებას, რომ რაც სიმინდის მოსავალი იყო, ისიც უმეტეს ნაწილით ბელოებში დაულოათ და გაუფუქდათ უმანადობის გამო. ადგილობრივი ვაჭრების სიტყვით, მათ საქონელს, რომელიც მალხიებში აწყვია ვასყიდათ, ვასავალი აღარ აქვს, რადგანაც მუშტარი ხალხი მეტათ შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფება.

სხვათა შორის, საბრალო სანახავეები არიან აქაური სასტუმროების მებატრონები, რომელნიც ყურებ-ჩამომებელები აქეთ-იქით იცქირებიან და იგონებენ წინანდელ მოპყეეთ-მუშტარებს, რომლებშიაც

მისთანებოც მოხედნობოდნ ხალხე, რომ თითო ღამეში ათ-ათ თუშნობით ხარჯადენ; ახლა ისინი ახლოც არ გეკარებინაო—მითხრა ერთმა სასტუმროს პატრონმა,—რადგანაც ჯიბე კარიგელი აქეთ და, თუ ათასში ერთხელ შემოვალენ, ყველაფერს ნისიათ თხოულობენო.

ამ ბოლოს დროს ურიგების საქმის გამო ჯერ კიდევ დიდი მითქმა-მოთქმა, რადგანაც ამ საქმის გამო ბეგრის ბრალიანი თუ უბრალო ოჯახი ვაუბედურდა და დაიღუპა.—წარმოადგინეთ ჩენი ვაჭირებოა—მითხრა ერთმა აქაურმა მცხოვრებმა—ბრალიანი თუ უბრალო, ყველა ეექილებთან და მწერლებთან გარბოდენ, შეეღას იხვეწებოდენ და „პრაშენიების“ დაწერას თხოულობდნო. ისე ვამევირა, ბატონო, „პრაშენიების“ წერა, რომ თითო ქალაქის დაწერა ოცდა ხუთ მანეთით ფასობდა.

ქუთაისში ახლათ მისული კაცის უხრადლებას იქცევს აგრეთვე აქაურ ქუშტში მაწანწალა, მათხავარა—ღატაკი ხალხი. სწორეთ საოცარია მათი სიმრავლე: საითაც ვაგილით, ყველა ქუჩა საცევა სხვადასხვა საცოდები, საპყარი, თუ მახინჯი ხალხით; ზოგი უხელოა, ზოგი უფებო, ზოგი ბრმა და სხ... არა თუ ქუშტში, სასტუმროების ნომრებშიაც კი დადიან და ვარეთ კარებზე და ფანჯრებზე უკაცუნებენ, გვაკამეთ რამეო. როგორც ვეივე აქ ხალხისთვის არაერთარი თავშესაფარი ალაგი არ არსებობს.

რაც შეეხება აქაურ ამინდს, შეიძლება ვთქვათ, რომ წელს ჯერ აქ ზამთარი არ დამდგარა. საზოგადოათ ისეთი თბილი ამინდებია, რომ ხშირათ საზაუხულო ტანთსაცმლით დადიან.

შაჭრა ო. კანხაქე.

\* \*

ფოთა. შობის მეორე დღეს, აქაურ დედათა სკოლის სასარგებლოთ ქანა ო. ა. ნიკოლაძის მეთაურობით გამართულ იქმნა „იოლკა“ და საცეკვაო საღამო. საქველ-მოქმედო საღამომ ჩენი საზოგადოება ისე მიიზიდა, რომ ბეგრის უბლებოების გამო გულდაწყვეტილი დამარუნდენ.

საზოგადოათ საღამომ კარგათ ჩაიარა. ჩენი კლუბის დარბაზი შეენიერათ იყო მოკაზმული მწყანე ფოთლებით და ყვავილებით, ასე რომ მაყურებლის თვალწინ ღამაში სურათი ეფინა. ეტყობა ქანა ო. ა. ნიკოლაძისას, როგორც მეთაურს, კარგათ შეუყვანია ამ გვარი საქმის პირობების ცოდნა.

უნდა ვაუწყავთ მკითხველს ისიც, რომ ხსენებული სასწავლებლის სახლი წყალდიდობას შემდეგ ძალიან დაზიანდა, ამისათვის საქველ-მოქმედო-კომი-

ტეტი ფოთის საქალბო სკოლისა შემოსუნებულთი მხნე მანდილოსანის მეთაურობით გულმოდგინეთ შეულდა მის ფესზე წამოყენებას.

წმინდა შემოსავალი, როგორც ვაგივეთ, 300 მანეთამდის იყო, რომელიც მიემატა სასწავლებლის სახლის ასაშენებლოთ დაარსებულ ფონდს.

ამ დღეებში ფოთიდან ვადიყვანენ თბილისში ადგილობრივი პოლიციის ბოქაულო, თადეი დ. წულუკიძე, რომელსაც ჩენ საზოგადოებაში დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული და რომელიც იმედია არც თბილისიდან მოგვაკლებს თავის თანაგონებას.

ო. იანუაქლი.

### ბ ე დ კ რ უ ლ ი.



არ ვარ ბეში უქყო, რომ ქვეყნის ვარამს არ ვგრძნობდე, არ მათეკარებდეს ცხოვრება და უხარუნელოთ ვხარობდე;

არც რწმენით საესე ჰბუცი, რომ მილიმოდეს წინ ბედე, ოცნებით ვატატებულს მასულდემულებდეს იმედე;

არც ისე დაბრძნებული, რომ ვიყო ჩემთვის წყარადა, დაემორჩილო პირობებს, აღარ ეშვოთავდე მარადა,

და არც მოხუცი, რომ მხოლოთ უკან-ლა ვინებებოდდე და, დაქანტული სიცოცხლით, სიცილილს ეჩქარებოდდე..

მამო რა ვარ?—შეილი ბედკრული დროისა ვარდამავალის, არც მყარს ვეკუთვნი, არც წარსულს და არც უკარაშო მამავალის..

ღურთუშვიტიერქლი.



### ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და მისი ტყუბი „ნაცნობი“.



არსული წლის უკანასკნელი რიტებს ხანგრძლივ სიზოვის შემდეგ ბ-ნი იაკობ გოგებაშვილით გამოისრულა ჩვეულებრივით მწარე წაღობი გატენილი ყუბნარა. ეს იყო მუქთა ქართული პედაგოგების წინააღმდეგ, რომელიც ის უკრძალავდა საერო პოეზიიდან მასალის ხმარებას მათ მიერ შედგენილ ხელ-სამძღვანელოებში.

აი, როგორ ახასიათებს თავის აკრძალვას ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი: „ამ ოცი წლის წინათ მე გაუ-მეზღვრე სოფელად ჩემ სამშობლოში, რათა შეიქცინა ხალხურმა მუქველებმა ქმნილებანი: ზღაპრები, მოთხრობები, გამოცნობა, ენის გასაკენი, ანდაზები და სხვა-ბი... მთელ ექვსი თვე ვიფიქრე ყრუ ჯაბანს სოფელში დასვენებად“ (რატომ ინებეთ ასე ცუდ ჰვიან სოფელში ცხოვრება? დავიშვებთ. ნუ თუ სხვა უფრო ტან-მთელ სოფლებში არ მოიძებნებოდა იგი ხალხურა მტყუელების ქმნილებანი?)

ამჟამად დავიშვებ ქვეყნის მოკვლედი სრულიათ (ცხად არ გინებებიათ კარგათ. განა არ შეიძლებოდა ამ ექვსი თვის განმავლობაში რამდენჯერმე ჩამბანებულოყუბით თბილისში და თავი გავტოვოთ?)

შოლოთ სამი სოფელი — ვარძანა, ახალდაბა, არაშენა — ერთი-მეორას მასლობლად მოვხსნივე, მაგრამ ძირის-ძირამდე ვა. (თქვენმა მემე, ნავაშიაქ ძალიან შემცდარებოდა, რომ „ხალხური მუქველების“ მხრივ ყველაზე უფრო ღარიბი სოფლები მოგიხსრეკიათ!)

ექვსი თვის შემდეგ მე ჩამოვტანე თბილისში ავი-ჯანაბის გოგება“ (კიდევ ე მაგისთვის მოგახსენებთ დავიშვებნათ მეთქი. თქვენი ბრალი ყოფილა და მაგაში სხვას ხომ ევლარას დაამადლებთ?) „მაგრამ თანაც ჩამოვტარე ვაუბრთად რეკული, გაჭინილი ხალხური ზღაპრები, ანაკუბი, ლექსებით და შეუღებე „დედა-ენის“ შედგენას...“

„მაგრამ ჩვენ აქამდის მთავრებული ვიყავით და საკუთრების უფლებით არ ვსარგებლობდით, იმიტომ რომ ჩვენგანე ნასესხები მასალა არავის არ მოუღმს ჩან ბოროტად“. (გვიკვირს, რანაირათ შეიძლება ხალხური ნაწარმოების ბოროტათ მოხმარება, თუ ის არ არის ყალბი, ეთი იგი არა ხალხური? ამაზე უფრო კიდევ მის გვეკვირვებს, რომ ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის ხალხური ნაწარმოებები თავის საკუთრებით მიანიჩა და მისგან ნასესხს ეძახის).

„თუ „დედა-ენიდან“ ვადაბეჭდებ ან მოთხრობები, ან ზღაპრები, და ან არაკუბი (რომელიც უნდა ეთიქროთ ხალხური მტყუელებიდან არის აღებუ-

ლი), რომელიც მიმართულია ამ ქანის მიმართულებაზე, რომელიც გაზუსტუნებს (ამდენმა „რომელიც“ სწორით დავებოლშა): „რაც უდატაკისა ქართული სასუქმდეგანელო, ის უკეთესია“, მაშინ ჩვენ მაკისმართ საყუბით სალიტერატურა საკუთრების უფლებას (რალა საკირო იქნება საკუთრების უფლება?“ თუ კი თქვენ „დედა-ენაზე“ ულტაკისი იქნება, ან ეინლა რუილის მისა და ეინლა წიკობასე?) და წიგნს დაჯავბით აგრძელვას...“ (ეს კი მეთი გინებებიათ).

გამოიღის, რომ ჩვენმა ახალგაზდა პედაგოგებმა ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის მიერ აკრძალვის შინით სულ თავი უნდა მიანებონ საპედაგოგო მწერლობას, ხელ-სამძღვანელოების შედგენას. თუ კი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი ჩვენ ნიკიერ და განითარებულ ახალ გულად მასწავლებლებს ნენბას არ მისცემს, „შოლოთ ვნახოთ ვენახი“ და „წყვილი და ჯანსჯედა“ დაბეჭდონ მათ მიერ შედგენილ ხელ-სამძღვანელოებში, მაშ ქართული პედაგოგის წარმატების წყაროც დაშრეტოლა და ის არის. ან შესაძლებელია, ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ ისეთი რამ უზუნავის ნაწარმოები იყოს, რომ მანე უკეთესი არც აქამდის შეთხულოყოს და არც მომავალ საუკუნოებში შეითხუწეს. აქამდის ჩვენ ქართულ მწერლობაში მხოლოდ შოთა რუსთაველის „გუფის ტუქასინა“ გვეგონა ასეთი, მაგრამ ამ ბოლოს დროს ისიც დავიშვებდა. მაშ რალა გამოჩნდა ეს ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რომ მას დრო და ქმის ქარ-ცუცხლი არ უნდა ეკარებოდეს?

ან იქნება ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის ეგონოს, რომ ეს „შოლოთ ვნახის“, „წყვილი და ჯანსჯედა“ და სხვა მრავალი ხალხური ლექსები მხოლოდ ვარძანში, ახალდაბაში და არაშენაში დარჩენილიყოს. ნუჩას უკაც-აეთი! რომელი სოფელიც გენეისთ, აიღეთ დასავლეთ-აღმოსავლეთის საქართველოში, ყოველგან ახალმოზარდი თარაბ ამ ლექსებს გაიშვებს, ისე, როგორც მის წინაპრებს უმეღრნათ, როცა ჯერ კიდევ „დედა-ენის“ სენებაც არ ყოფილა. ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენიდან“ რომ არ ვაღმოწეროს ეინმე, განა სახალხო წყარო დაშრეტოლა? დემერბა ნუ ქნას, რომ ეს ასე ყოფილიყოს, თერა მაშინ ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ ხომ თავის თავს ევლარას უშვილის და მტერთან თაროზე თავებში შემესტრენ. „მაგრამ რადგანაც მოსალოდნელიათ — ამამდის ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი — რომ სვალ ბოროტნი შინან ადმოხნდენ, თავისი შირადი სასრებლობათ დაბმეკუბუნია“ (ესე იგი როგორც ბ-ნი იაკობ გოგებაშვილითა გაიჩინა წყარო ცხოვრებლათ თავისი ხელ-სამძღვანელოებით, ისე იმ ბოროტმა პედაგოგებმა რომ არ გაიჩინონა),

„შიტომ გაცნადეთ სყოველთაოთ: ჩვენს სრულს ნებას, სრულს უფლებას გძღვეთ დღე-ღინდან ასარგებლად, მხოლოდ იმან, რომელიც შეადგენს უფრო უკეთეს სსხელმძღვანელოს...“ (ამისთანა აკრძალვის მანიფესტო, ვგონებ, რომის იმპერატორებს ნერონს და კალაგულასაც არ გამოუტიათ ქრისტეს სარწმუნოების ასაკრძალვათ.)

„მოსალოდნელად გამოჩნდნენ ხელს ისეთი პირადი სარგებლობით დაზრდაყოფილი პედაგოგები, რომ თავისი სსხელმძღვანელის რსწრების წყაროთ გამოიჩინონ ქართული ენის სსხანათ და შესამდგომელად სსხელმძღვანელობა“.

მადლობა ღმერთს, რომ ღღეს არაფერ არის ამისთანა, ამზარდის მეთე, და ხელთ თუ ღმერთი გაუწყობდა და გამოჩნდება, იმასაც ვაუწყებულებებით. ხოლო რაიც შეეხება იმას, რომ ახალმა პედაგოგებმა თავისი ნაწარმოები ცხოვრების წყაროთ გამოიჩინონ, ეს მე ვგონებ, ყველასთვის სანატრელი უნდა იყოს. მაგრამ ვაი, შენს მტერს! ღღეს ჩვენ ერთით ერთ დასახურებულ პედაგოგ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს ეხედეთ, რომელმაც თავისი ხელ-სამძღვანელოებით მართლაც ცხოვრების წყაროთ გამოიჩინა. ჩვენ ეს სასიძაღულით და სასინაულით მიგვაჩინა. ღმერთმა ინებოს, რომ ბევრ სხვა პედაგოგებსაც ღირსებოდეს ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის ბედი. აქ რა საწყენია, ბატონო? ჩვენ აქეთს მეცადინეობას ჩვენი ახალი პედაგოგებისას აკრძალვით კი არა, წაქეზებით უნდა მივეცებოთ.

ღიბაც, გამხნეედი, ჩვერა პედაგოგონ და მასწავლებელნო. იმართე სახალხო ლექსები ისე, როგორც ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს უხმართა თავის ხელ-სამძღვანელოებში, ბეჭდეთ ხალხური არაკები, პატარა-პატარა მოთხრობები, გამოაკეთე ისინი რუსული საპედაგოგო ლიტერატურითან ისე, როგორც ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი შერება. ივარჯიშეთ, ნუ რა ამაო აგზადავს! ნუ შეუშინდებით, არაფის ნებართვად თვეწ ამაში არ ეჭირდებით. იქნება, ღმერთმა მოგებედოს, ამაში ერთმა მანაც წინ წაუსწროთ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს და გაამდიდროთ მშობლიური საპედაგოგო ლიტერატურის საუნჯე.

ჩვენ სწორეთ არ მოველოდით ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისაგან ისეთი სახალხო აკრძალვის ყუმიბრის გამოტყობრენას ახალგაზდა პედაგოგების მოღვაწეობის წინააღმდეგ, როგორც მან ინება. გვეგონა კდვე, რომ ის ამ-თ მოლოთ დაქაყყოფილდებოდა, მაგრამ არა. მისი შულოთ ვადმოწვევთ თეთი აგზადის რედქციასაც, რომელმაც გაბედა სინარულით მიგებებ ერთი პედაგოგის მიერ შედგენილი ხელ-სამძღვანელოისა. ბ-ნი იაკობ გოგებაშვილმა გადმოავლო აგზადის რედქციასკენ კდვე მეორე უსატყვის ყუმბარა. მან მოავისრა ამ წილს „იგერაის“ მიერონი. მერმონ თავისი ტუთუ—სწედონიმი „ჩანჩობა“, რომელმაც მთელი ფულტრანი პატრიცელისი გაზეთისა, აგზადის რედქტორისა და გ. წერეთლის ლანძღვართვით ადესო. როგორ გაბედაო აგზადის, რომ

ვილაც პედაგოგის მიერ შედგენილს პირველ დაწვებილს ხელ-სამძღვანელოს, სახლოთ „აგზადის მოკეთეს“ სინარულით მიგებდო?

„ნუ თუ არ უმისი აგზადისა“—ცოდნობის ბ-ნი „ჩანჩობა“, რომ იგი (იხლოისხმე „აგზადის მოკეთეს“) მასსატყვის ქართულს ენას სყოველთაო და მკაცრად ანადგეს გამძღვანელს ფეს შედგენს ქართულს მიგებნობას, ლიტერატურას და თეთი აგზადის რედქციას. ბიძად და სსხოგალო ინტერესი მოითხოვდა, რათა რედქციას ურკეთეს ამა. ბუგამ ამის ნეცხლათ იგი იწონებს იმას და ამათა აქეხებს სსხესკაც ამ აგზადის რედქციას. რისთვის? იმისთვისოთ განგებნობას ბ-ნი „ჩანჩობა“, რომ „როდესაც გამეუწყებულების უკუღმართობას და ურეგრებას განათმარებო, მისად მოკვლეობას ადსასწრულელოთ სსხოგადგობის წინაშე, ცხოვრენ და გერენი (იგლოისხმე გიორგი წერეთელი) მოართვენ სყოველთაო ურეგრებას: დაქ, დაქ! ახალგაზდა ტადანტეს გზას უდგადასო...“

ახლა ცეთხობთ ბ-ნი იაკობ გოგებაშვილის ტუტებს, იმევე „ჩანჩობა“, რა დაშავა ან გ. წერეთელმა, ან „ჩანჩობის“ რედქციამ?.. ის, რომ ახლო შედგენილი ხელ-სამძღვანელოის ქართულ ენახე სინარულით მიგებდო? ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს და მის ტუტებს „ჩანჩობას“ დეწვებით, რომ სანამ აგზადის რედქცია „აგზადის მოკეთის“ შედგენას სინარულით მიგებდობოდა, ხეთი წილის წინათ ვახ. „იგერაის“, რომელმაც ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და მისი ტუტები „ჩანჩობა“ თანაწარმოობენ, კილვე მოიწონა ეს „აგზადის მოკეთეს“ და კილვე კარგა ქებით დააჯილდოვა.

ენახობ, ამა „იგერაის“ (1830, 1890 წ.). რას ამბობს ამავე ხელ-სამძღვანელოში, ჩვენს განხეთ პირველ დაწვებითი სსხელმძღვანელო ქართულ სყოველთაოსთვის, შედგენილად მასწავლებელ ა. ნათამის მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია ერთი წლის კუქსი. ავტორს სსხე წლებისთვის შეუგრება საკრძისი მასდა და უოკელ თითო წლის გუქსისთვის ცდა-ცდაც დასწავის თავისი წიგნის. წიგნის სსხელმძღვანელო „მოკეთეს“ აგზადისა „ანანინის ბოლომდე დეწვლად პედაგოგობით თან-და-თანობას სსხელმძღვანელობის, ენა ძილან მარტოვად და ადვოლთი ეასაკებო ემწვილეობისთვის. ანდასებო და ზდადობო თავ თავის ადვოლთი აქეს ჩართული. ზდადობო სოკო ვისსსლასო, მომეტებული ნაწილი ეი „სინარენ სიგერადის“ არის ადვოლთი. ადვოლთი ადვოლ ქართული ზემბაც არის ჩართული. გოგორც შეკრევეთ, ბ-ნი ნათამის სსხეს თავისი სსხელმძღვანელო ეადსკეცს წერს ეითთვის სსხოგადგობას დასსეკცადი“. ამას შემდეგ ეხტა არა დალუშვებო „აგზადის რედქციას? „იგერაის“ ხელ-სამძღვანელო „აგზადის მოკეთეს“ მოუწონებო, ხოლო აგზადის სინარულით მიგებებო ასეთ შრომას. ის კი არა „იგერაის“ რედქცია ისეთი კილოთიუ წერს, რომ უნდა ეივთულისსმ-თ, თეთი „წარგობისთვის სსხოგადგობის“ გამებებოთ თანახმა უნდა ყოფილიყოთ ამ სინარულით სსხეს. ხოლო „წარგობისთვის“ გამებების გედნინანი წვერი იმ დროს ხომ თეთ ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი იყო და ახლაც არის. მაშ რითი უნდა აქსნათ ასეთი ცელოლენა მსჯელობისა უწინ და ახლო? რათ აფარებს ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და მისი

ტუფი „ნანობი“ „იკვანას“ თავის მოწყალე კალთას, ხოლო „იჭაქას“ და გ. წერეთელს, ამ მის მეფისტოველს, უმართებულო, უშეგრი სიტყვებით ლანძღავს? ნეტა ვიცოდეთ, ვინ გამოადის აქ „იჭაქა-ერა“ და „იკვანა“... ამის გამოცნობა თუთ მკითხველ ისეთის მივიწინდებო.

ჩვენ მხოლოდ ამას მოვახსენებთ, რომ აქ საღვთისმშობელი უნდა იყოს დამარხული, ალბათ იმის სუნი ბ.ნ იაკობ გოგებაშვილს სცემია და მასთან მის ტუფსაც მოსვენებას არ აძლევს.

ბ. წერეთელი.

სახელმწიფო გვასართობრი.

საციხარია, სატირალი რომ არ იყოს!

**ქ**ვენი მოგვივება გუნის კალენდარი. თავშია დასატული გუნის ძეგლი ალბომი სურათებისა, რომელნიც მისივე კალენდრებში ეს შეათუვერ არის მისი დასატული. ამ ნახატებში შეხანაშნება წმინდა შუშანიას სურათი, რომლის სახე შარანდეთის მკვირთა მკვლელი არის გათხუზნული; დიმიტრი ბაქრაძის და აჭაი წერეთლის სახეებს შორი აქვს წამოხული, ხოლო გორე მკისის სახე შეხანდეთის არის გამოხული. თუ წამოხადებენ უშეგვლელ თარგულ კვასს, თითქოს წინაწე წამოცხულს, აიკვამ გოგებაშვილის სახეს თაგულში დასატული აქვს; ხოლო ბაირონისთვის თითქოს ცდილ თაგლი წამოცხობათო.

კალენდრის ბოლოს მოქრულია უშეგვი დახმდვა ჩუნი მოლაწვემბის, განსაკუთრებით ბევრი დახმდვა-ტინება ეტო გ. წერეთელი.

გუნია დაღობს, მან მოკვინის და დახმდიდა აწინდელი პართული და ერატურას თავის იკვანობის თურქული-ბით“ და კალენდრებით, გაძეულა დიკატურას, სსკე-ბი უკვლახი მასთან ფას!

ამას ამტკიცებს კალენდრის 497 გვერდზე დასატული მისი ლექსი.

აჩვენე ქვეყნის ბედ-ღობასსა  
 ან იხილავს, ვინ იტრავს;  
 ბედადნი ტატკენდურს,  
 მოკვანნი დახმნი ვ...ებს.

ამაჲ სურათის უგოთ განსამრტებლათ ჩვენე შეგ-  
 წვეთ ერთ სასახლე ლექს:

დროსა შევესწარ ასეთსა,  
 მან გული გამაღვრესა,  
 დინდობათ თვლიან ადმსსა,  
 აიკვინდს და ღაღავსა,  
 მურასით შედენ ვ...ებსა,  
 აკვანენ ოქროს ნაღვსა,  
 ბედადნი ტატკენდურს გურკან ქვეშ  
 სცემენ, ვინ შეიბრავსას!

რედატორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

ბენეფისი კნ. ბ. ავლიშვილისა

ქართული თეატრი.

მოსხვაბათს, 29 იანვარს 1897 წ.

პირველად ხსავდა ზეის.

ქართული ღრამატული საზოგადოების დას მკერ-  
 ავლიშვილისა, ალექსანდრე-შესნიშვილისა, ყოფიანის და სა-  
 მბის მონაწილეობით წარმოადგენილი იქნება:

ბოშა ქალი ზანდა

დრ. 4 მოქ. 5 სურ. თარგ. გალესტოვისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ავლიშვილისა, ჩერქე-  
 ზიშვილისა, გამყრელიძისა, კარვარელი, ივანოვი და  
 სხვ. ბ.ბ. ალექსანდრე-შესნიშვილი, აბაშიძე, ყოფიანი,  
 სვირიძე, გელეზოვი, გამყრელიძე, მარჯანიშვილი,  
 შათირიშვილი, კანდელიანი, ადამიძე, კარბელი, საფა-  
 როვი, აბრამოვი, გვარამაძე და სხვ.

ადგილებს ფასი ჩვეულებრივია

დასაწმინდ 8 საათში

რეჟისორი. ვ. ს. ალექსანდრე-შესნიშვილი.  
 ადმინისტრატორი გ. შათირიშვილი.

თბილისის ქალაქის გამგეობისაგან

თბილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს  
 საყოველთაოთ, რომ მისის 28 დეკემბრის 1896 წ.  
 გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დაამტკიცა  
 ბუნა თბილისის გუბერნატორმა 8 იანვარს 1897 წ.,  
 შესდგება საბჭოს

სადარჩმვენი სივხი

თბილისის ხმოსანთა საარჩევით ოთხის წლის  
 ვალით 1897—1901 წლებში, საარჩევნო კრებაში,  
 რომელიც დანიშნულია კვირას, 18 მაის 1897 წ.

ამ სიაში ჩაიწერებან (24 მუხ. ქალაქის დეპუტა-  
 ბის):

- 1) რუსეთის ქვეშევრდამნი, აგრეთვე საქვე-მოქმე-  
 დო, სამცხეთო და სამოსწალო დაწესებულებანი მოთა-  
 რისაგან, რომელთაც აქვთ საკუთარი უძმაო მამულა  
 თბილისის საზღავროთა შორის, დირკული ან ნაკლებ  
 ას ომოდ და ათის თუმნის, და რომლისათვისაც იხ-  
 დან ქალაქის სასარკულოთ დავისთვის კარდასასნად,  
 და 2) რუსეთის ქვეშევრდამნი და რუსეთის იმე-  
 რის განლობამერ დასრულებნი საზოგადოებანი, ამხ-  
 ნაკობანი, რომელთაც წლისწინა წლებში ან არის,  
 რაც თბილისს აქვთ საკვტრო-სამრეწველო წარმოება,  
 რისთვისაც საჭიროა მოქმეობა პირველის ან მეორის  
 გივლის.

ქალაქის გამგეობა თავის მოვალეობათ თვლის  
 ყოველსავე ზემოსსენიულს დახმინოს, რომ საჩვენებო  
 სიების შედგენას თუ დასრულებს, თანხათ იმევე გარ-  
 დაწვეუტულიყვის, ამა 1897 წ. 1 თურქულამდე. ამიტომ  
 ვისაც სურს ჩაწერად იქმნას სიაში, ამ წლის იანვრის  
 გასვლამდე უნდა შემოიტანოს ქალაქის ყოველივე და-  
 ნიხილი გადასახად რომელიც ერგას გამგეობას წარ-  
 სულ წლის 1 ივლისამდე; რათ მითვე დარჩეს ანა უმე-  
 ტეს ნახევარი წლის შემოსატანი ქალაქის დეპუტების  
 მე-33 მუხლის გ. 8 ძალი.

(3—1)

# ქუთაისის თავად-აზნაურთ საბაგილ-გაგაულო განაჩის გაგვერვა.

საყოველთაოთ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 17 § ძალით ბანკის გაბეგობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნება სხვაზედ ბანკში დაკირავებული ქვემო მოყვანილი უძრავი მამული შესახვედრ გადასახადთა შემოუტანელობის გამო.

გასყიდვა ამა მამულსა მოისმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემოტანილი იქნება ამა მამულზედ თანხმად 19 § ბანკის წესდებისა ბანკის გარდასახადი და თან განცხადებას სარჯი.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თანხი ფულიდან ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუკრებელის გარდასახადისა, მამულის განსაყიდვით დახმუნაზე სარჯებისა და საზოგადოთ, უველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროთ დაუსარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თანხის მოსმობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელიც მიიღებინა სახელდობრივის ფასისამებრ: მანეთი მანეთთა და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქნენ შეიდეველზე; სო ლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქნენ ნაღდთ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ განსაყიდვით მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მორე და უხანასკნელი ვაჭრობა, 20 მარტს 1897 წელს.

ვაჭრობა 25 თებერვალს 1897 წელს.

48<sup>1</sup>/<sub>2</sub> და 48<sup>2</sup>/<sub>2</sub> ფლიანნი სხსნი.

18<sup>1</sup>/<sub>12</sub>, 19<sup>1</sup>/<sub>12</sub> და 36<sup>1</sup>/<sub>2</sub> ფლიანნი სხსნი.

ქუთაისის გუბერნიისა მორანის მხრისა.

ქ. ქუთაისს.

## ქ. ქუთაისს.

წუღვეჭმის გიორგი ანტონის ძის: სოფ. საწულთქიძეთს ეზო, ზეარი, სახანჯ-სათვის და ტყე 29 დღს. 42 კვ. საჯ. თავნი ვალი 2861 მ. 88 კ. შგს. გად. 139 მ. 25 კ., სულ 3001 მ. 13 კ.

## მორანის მხრისა.

ჭორჭაშვილის ანა რევაზის ასულის: სოფ. ლახუნდარას ეზო, ზეარი, სახანჯ-სათვის და ტყე 10 დღს. 1200 კვად. საჯ. თავნი ვალი 1311 მ. 69 კ. შგს. გად. 96 მ. 63 კ., სულ 1408 მ. 32 კ.

## მოკლე ვადანნი სესხი.

ქუთაისის მხრისა დ. ხოსის.

შოამფორასი ოქროპირ ნიკოლოზის ძის: ორი ერთ-სართულიანი კეთიკირის სახლები და მიწა 450 კვ. საჯ. თავნი ვალი 2400 მ. შგს. კად. 132 მ. 10 კ., სულ 2532 მ. 10 კ.

ლორთქიფანიძის ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვ. საჯ. თავნი ვალი 91 მ. 41 კ. შგს. გად. 135 მ. 83 კ., სულ 227 მ. 24 კ.

მეჭუკისა ბესარიონ ვასილის ძის: ნემცის ქუჩაზე ორ-სართულიანი კეთიკირის სახლი და მიწა 309 კვ. საჯ. თავნი ვალი 3353 მ. 99 კ. შგს. გად. 1781 მ. 66 კ., სულ 5135 მ. 65 კ.

რუსხისა ლევან გიორგის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი კეთიკირის სახლი და მიწა 461<sup>1</sup>/<sub>2</sub> კვად. საჯ. თავნი ვალი 30 მ. 81 კ. შგს. გად. 18 მ. 97 კ., სულ 48 მ. 78 კ.

ლორთქიფანიძის ანტონ ნიკოლოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი კეთიკირის დუქნე-ბი და მიწა 27<sup>1</sup>/<sub>2</sub> კვად. საჯ. თავნი ვალი 167 მ. 39 კ. შგს. გად. 133 მ. 90 კ., სულ 301 მ. 29 კ.

ფიშხისა აბრამ და ისხე ფილოზანის ძეთ: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი კეთიკირის დუქანი

და მიწა 9 კვ. საყ. 1 კვ. არშ. თავნი ეალი 446 მ. 82 კ. შეს. გად. 426 მ. 95 კ., სულ 873 მ. 77 კ.

რუხამის ლუკა ნიკოლოზის ძის: ორიზის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 241/2 კვ. საყ. თავნი ეალი 74 მ. 49 კ. შეს. გად. 68 მ. 50 კ. სულ 142 მ. 99 კ.

ხანაშვილის შაუთა ისრაილის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფზე და მიწა 189 კვ. საყ. თავნი ეალი 279 მ. 15 კ. შეს. გად. 240 მ. 31 კ., სულ 519 მ. 46 კ.

აღაძიეთა ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთ: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 კვ. საყ. თავნი ეალი 160 მ. 84 კ. შეს. გად. 91 მ. 3 კ., სულ 251 მ. 87 კ.

ბეღლიშვილის გიორგი სტეფანეს ძის და მამაშვილის ბეკო გიორგის ძის: ლევაშვიის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 162 კვ. საყ. თავნი ეალი 53 მ. 62 კ. შეს. გად. 46 მ. 90 კ., სულ 100 მ. 52 კ.

განჯღავას დამენტი სიმონის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვ. საყ. თავნი ეალი 13 მ. 9 კაბ. შეს. გად. 56 მან. 50 კაბ., სულ 90 მან. 59 კაბ.

შელაფრამის თამა მამუკას ძის და გუგუქავაძის ყარამან მიხაილის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 215 კვ. საყ. თავნი ეალი 134 მან. 9 კაბ. შეს. გად. 85 მან., სულ 219 მან. 9 კაბ.

გვიტიშვილის ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 კვ. საყ. თავნი ეალი 26 მან. 84 კაბ. შეს. გად. 43 მან., სულ 69 მან. 84 კაბ.

შაჟუაშვილის შალომ აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის ღუქანი და მიწა 8 კვადრ. საყ. და 5 კვადრ. ალაბი. თავნი ეალი 562 მან. 91 კაბ. შეს. გად. 345 მან. 80 კაბ., სულ 908 მან. 71 კაბ.

აბრამის ივანე ზაალის ძის: ლენერლის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 128 კვ. საყ. თავნი ეალი 278 მან. 18 კაბ. შეს. გად. 29 მან. 50 კაბ., სულ 307 მან. 68 კაბ.

ბუჩაშვილთა: ისრაილ ელის ძის, შამაღლა, მიხაილ და რაფიელ ისაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის ღუქანი და მიწა 15 კვადრ. საყ. და 5 კვ. ალაბი. თავნი ეალი 695 მან. 46 კაბ. შეს. გად. 334 მან. 88 კაბ., სულ 1030 მან. 34 კაბ.

დათუნაშვილის სიმონ ივანეს ძის: ოპიპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 885 კვ. საყ. თავნი ეალი 208 მან. 50 კაბ. შეს. გად. 67 მან. 30 კაბ., სულ 275 მან. 80 კაბ.

მურაფოვის ეკატერინე მელქონის ასულის და ნიკოლაიშვილის, ოქროპირ როსტომის ძის: ალექსანდრეს ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და

მიწა 145 კვადრ. საყ. თავნი ეალი 869 მან. 2 კაბ. შეს. გად. 393 მან. 33 კაბ., სულ 1262 მან. 35 კ.

მოსეშვილის ალექსი იოსების ძის: ლაზარეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 103 კვადრ. საყ. თავნი ეალი 139 მან. 12 კაბ. შეს. გად. 68 მან. 50 კაბ., სულ 207 მან. 62 კაბ.

დგუბაშვის ნიკოლოზ ფიარის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 კვადრ. საყ. თავნი ეალი 849 მან. 87 კაბ. შეს. გად. 42 მან 23 კაბ., სულ 892 მან. 10 კ.

ვინოშვილის პავლე ივანეს ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის ღუქანი და მიწა 434 კვადრ. საყ. თავნი ეალი 1657 მან. 13 კაბ. შეს. გად. 620 მან., სულ 2277 მან. 13 კაბ.

ჭავჭავაძის ელისაბედ დაფთის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 186 კვ. საყ. თავნი ეალი 21 მ. 22 კ. შეს. გად. 17 მ. 76 კ., სულ 38 მ. 98 კ.

მურაფოვის თამა პაულეს ძის: ბალახანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 422 კვ. საყ. თავნი ეალი 148 მ. 57 კ. შეს. გად. 63 მ. 10 კ., სულ 211 მ. 67 კ.

ნაკაძის მამია ფიარის ასულის და ფიარის შვილის ვასილ მამუკას ძის: ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 1144 კვადრ. საყ. თავნი ეალი 63 მ. 64 კ. შეს. გად. 24 მ. 40 კ., სულ 88 მ. 4 კ.

სლიანოვის არუთინა იაკობის ძის და ოლანგზა ნაძარტას ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 95 კვადრ. საყ. თავნი ეალი 531 მ. 16 კ. შეს. გად. 183 მ. 10 კ., სულ 714 მ. 26 კ.

შაგულოვთა: პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გიორგის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 215 კვადრ. საყ. თავნი ეალი 318 მ. 57 კ. შეს. გად. 83 მ. 50 კ., სულ 402 მ. 7 კ.

შაგულოვის თედორე სიმონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 395 კვადრ. საყ. თავნი ეალი 84 მ. 98 კ. შეს. გად. 47 მ. 50 კ., სულ 132 მ. 48 კ.

მემკვიდრეთა ანდლეუქაძის იაკობ ივანეს ძის: კარლის ქუჩის შესახვევში ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა და მეორე ხისა და მიწა 150 კვადრ. საყ. თავნი ეალი 99 მ. 79 კ. შეს. გად. 46 მ. 90 კ., სულ 146 მ. 69 კ.

ბანაჟორაშვილის აბრამ მოშას ძის: გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 7 7/2 კვადრ. საყ. თავნი ეალი 449 მ. 84 კ. შეს. გად. 99 მ. 70 კ., სულ 549 მ. 54 კ.

პუთანოვის ფრანც პეტრეს ძის: ხონის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1217 კვადრ. საყ. თავნი ეალი 249 მ. 99 კ. შეს. გად. 76 მ. 88 კ., სულ 326 მ. 87 კ.

გუგუნიძის ალექსანდრე ვასილის ძის: ნემცის